"საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რეჟისორი" საქართველოში ჩამოდის - დევიდ ლინჩის ვიზიტის დეტალები

12:41 / 14-11-2017

18-21 ნოემბერს საქართველოს ლეგენდარული ამერიკელი კინორეჟისორი დევიდ ლინჩი ეწვევა. რეჟისორი, პროდიუსერი, ვიზუალური არტისტი, მუსიკოსი და მსახიობი, ცნობილია სიურრეალისტური ფილმებით. მას The Guardian-მა "საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რეჟისორი" უწოდა.

საქართველოში ცოტა ხნის "დევიდ ლინჩის ფონდის" წარმომადგენლობა დაარსდა. ფონდს საქმიანობის რამდენიმე მიმართულება აქვს: გენდერული თანასწორობის საკითხები, ბავშვთა დახმარება, ვეტერანების რეაბილიტაცია და სწავლება. ფონდს გადაწყვეტილი აქვს, გახსნას უნივერსიტეტი, სადაც კინომწარმოებლებს საშუალება ექნებათ, შეხვდნენ მსოფლიო კინოს ვარსკვლავებს, რომლებიც საქართველოში ჩამოვლენ. "ლინჩის ფონდში" უამრავი კინოვარსკვლავია გაერთიანებული.

კავკასიაში "დევიდ ლინჩის ფონდის" ხელმძღვანელი რეჟისორი გიგა აგლაძეა. რეჟისორის ვიზიტის ექსკლუზიურ დეტალებზე აგლაძე AMBEBI.GE-ს ესაუბრა:

- შემოთავაზება მივიღე და 2017 წლის აპრილში გადაწყდა, ვყოფილიყავი "დევიდ ლინჩის ფონდის" პრეზიდენტი კავკასიაში. შემდეგ საქართველოში მისი ოფიციალური წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და დოკუმენტაცია გაფორმდა. მოლაპარაკება გვქონდა დევიდთანაც, - მისი ჩამოყვანა გვინდოდა. სამი თვის წინ ეს საკითხიც გადაწყდა, ის მოდის საქართველოში. მასთან მე ვიყავი ჩასული. პრინციპში, ლოგიკურია, ჩვენს ქვეყანაში დაარსდა მისი ფონდი და გადაწყვეტილებაც თავად მიიღო ჩვენთან ჩამოსულიყო.

- მასპინძლები მხოლოდ თქვენ ხართ?

- ამ საქმეში ჩართულია მთავრობაც, კონკრეტულად კი ვიზიტის მომზადებაში ჩვენთან ერთად მუშაობს საქართველოს პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტი, კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში... ლინჩს შეხვედრები ექნება საქართველოს მთავრობასთან, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან, ადამიანებთან, რომლებიც დაინტერესებულები არიან მასთან შეხვედრით. ასე რომ, ის აქ თავის ოფისში ჩამოდის და გაიცნობს ოფისის წევრებს... ახლა ამ შეხვედრისთვის სერიოზული სამზადისი გვაქვს. ჩვენი მოლოდინი კი ის არის, რომ რა გეგმებიც გვაქვს დასახული, უფრო მარტივად წავიდეს წინ, ფართო საზოგადოებამ გაიგოს ჩვენი საქმიანობის შესახებ...

ლალი ფაცია

AMBEBI.GE

20:19 / 02-07-2019

"ეჰ, ის ალბათ, შედის იმ ადამიანების რიცხვში, რომლებიც ვერ მიხვდნენ გავრილოვის ჩამოყვანა რას ნიშნავდა" - მშვილდაძე ქუცნაშვილს პასუხობს



17:25 / 02-07-2019

"შიმშილით გარდაიცვალა, გესმით? რამდენიმე წელი ერთ კუთხეში მიწოლილი სიკვდილს ელოდებოდა" - ჟურნალისტი ნანა ნადირაძე დაიღუპა

"THE MOST IMPORTANT FILM DIRECTOR OF THE CENTURY" ARRIVES IN GEORGIA – DETAILS OF DAVID LYNCH'S VISIT.

The legendary American film director David Lynch will arrive in Georgia on November 18-21. The film director, producer, visual artist, musician and artist is famous for his surrealistic movies. "The Guardians" declared him "the most important director of the century".

The representation of David Lynch Foundation has been established recently in Georgia. The foundation has several spheres of activity: questions of gender equality, children support, rehabilitation and teaching of veterans. The foundation is planning to establish a university where the filmmakers will have the opportunity to meet the world film stars, who will arrive in Georgia. David Lynch Foundation unites many stars.

The head of David Lynch Foundation Caucasus is a film director Giga Agladze. Agladze shared exclusive details of the visit with AMBEBI.GE:

- I accepted the offer and it was decided that in 2017 I'd become a president of "David Lynch Foundation" in Caucasus. Lately its official representatives arrived in Georgia and we've documented the establishment. We also had negotiations with David – we wanted to invite him. And three months ago, decision has been made on this question too, he will arrive in Georgia. I visited him. And it's logical, his foundation has been established in Georgia and he made a decision to visit us.

- Are you the only hosts?

- The Government is also involved, namely the Committee of Education, Culture and Science of the Parliament of Georgia and its chairperson Mariam Jashi work with us for this purpose. Lynch will have meetings with the Government of Georgia, students, people who are interested to meet him. He visits his office here and will meet the members of the office… Now we have serious preparation for his arrival. We expect that all the goals that we have set would progress easier and the bigger audience finds out more about us…